საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია· კვირა, 22 ივნისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 136

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62·

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აუწყებს სახალხო გვარდიელთ და მოქალაქეთ, რომ ნახევარი წლის თავზე ეკატერინოფელდთან ხანგრძლივ ბრძოლისა, კვირას 22 ივნისს 11 საათზე ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება

სამოქალაქო პანაშვიდი ეკატერინოფელდთან გმირულად დახოცილ გვარდიელების საფლავზე

ქვრივი ელენე მაისურაძისა შვილებითურთ, და სონა ნაზიკვერიშვილისა, ძმა ლევან მაისურაძე მეუღლით და სიდედრი ლისპანე ცერცვაძისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 22 ივნისს, დილის 11 საათზე ძმათა სასაფლაოზე (ნაძალადევი, ხუდადოვის ტყე) დანიშნულია ნახევარი წლის სამოქალაქო პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის დაუვიწყარი

სანდრო მაისურაძისა (2—2)

პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან არსებული სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 22 ივნისს, დილის 11 ს. ძმათა სასაფლაოზე (ნაძალადევი, ხუდადოვის ტყე) დანიშნულია ნახ. წლის სამოქალაქო პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის

სანდრო მაისურაძისა (2—2)

გამწუხარებული დედა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, რომ კვირას, 22 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარი

ვლადიმერ პავლეს ძე გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს. და პანაშვიდი 12 ს. (3—3)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] და შვილები: ლითიკო, გენრიეტა და გიგი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მიმდინარე წლის თებერვლის რიცხვებში გარდაცვლილი და ქ. ფოთის, ნაბადის სასაფლაოზე დამარხული ძვირფასი

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

ცხედრის გადმოსვენება ქ. ფოთიდან ამ შაბათს. ქუთაისში მოხდება კვირას 22 ივნისს.

ღრმად დამწუხრებული სიდედრი სარა (სალომე) ცოლის ძმა ნიკოლოზ, ცოლის დები: ნადია, ელენე და თამარი [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მიმდინარე წლის თებერვლის რიცხვებში გარდაცვლილი და ქ. ფოთის ნაბადის სასაფლაოზე დამარხული ძვირფასი

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

ცხედრის გადმოსვენება ფოთიდან შაბათს ს. ქუთაისში მოხდება კვირას, 22 ივნისს.

მამა ნიკოლოზ, ბიძა პეტრე, ბებია ანასტასია, ბიძა ვლადიმერი, დები: ნინო და ბარბარე, მამიდები: მარიამი და ვერა ნარიმანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 22 ივნისს, კვირას, დილის 11 საათზე, ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნახევარი წლის თავზე ეკატერინოფელდის ფრონტზე გმირულად დაღუპულის სახალხო გვარდიელის

ალექსანდრე ნარიმანიშვილისა

გულდამწვარი დედა ლიზა, მამა მელიტონი და [illegible], ძმები: [illegible], კლიმენტი და [illegible], რძლები: ცეცე და მერი ძმისწული [illegible] გრიგოლიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 22 ივნისს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ქართველ-სომეხთა ომში გმირულად დაღუპული კაპიტნის

იასონ მელიტონის ძის გრიგოლიას სულის მოსახსენებლად.

ორშაბათს 23 ივნისს წმინდა [illegible] დანიშნულია წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილის

ნინო სამსონის ასულის იმნაიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის მამა [illegible] სამსონ, დედა მინდორა, ძმა ეგნატე, დები: [illegible] და თამარა და ბიძა [illegible] იმნაიშვილები.

ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 20 ივნისს ტრაგიკულად მოკლულ იქნა გვარდიელი

მელქისედეკ ივანეს ძე გურჭულაძე

რომლის გასვენება დანიშნულია კვირას 22 ივნისს დილის 6 საათ. რკ. გზის სამთავრობო საავადმყოფოდან, საიდანაც წაასვენებენ ს. ნიგოითში.

გულდათუთქული მშობლები: [illegible] და ელენე [illegible], ძმები: [illegible] და სერგო, დები [illegible], ბიძები [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

გეურქა შიხიანცის

დასაფლავება მოხდება 22 ივნისს. გამოასვენებენ ორთაჭალის ისტორიკ საკუთარ ბინიდან სურბ-კარაპეტის ეკლესიაში, იქიდან ხოჯივანქის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა კოლია (ნიკოლოზ) [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ერთად ერთი 3 წლის **შოთა** რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

სამშაბათს 24 ივნისისთვის ქალაქ ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი დის

ვერა ალექსანდრეს ასულის აბალიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს დები მატრონა და მარო, სიძეები კირილე გიორგის ძე რუსია და ილარიონ ოქროპირის ძე ტყეშელაძე.

კოლჩაკი და საერთო ფრონტი

როგორც იცით ოთხთა საბჭომ საბოლოოდ გადაწყვიტა გაეწია ყოველგვარი დახმარება რუსეთის რეაქციის მეთაურისთვის—კოლჩაკ-დენიკინს.

კოლჩაკ-დენიკინი—ეს ის კოცონია, რომელზედაც უნდა დაიწვას რუსეთის რევოლუცია. კოლჩაკის რესტავრაციული მიზნები არ შეიძლება არ იცოდენ ევროპაში, მაგრამ, თუ მას მაინც უწევენ დახმარებას და რუსეთის ბედიღბალს აბარებენ—ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ბურჟუაზიის შიშით ძირითად რუსეთის რევოლუციაზე. ისეთი ზომიერი ჯგუფის მოწოდების შემდეგ, როგორიც კერენსკი-ავქსენტიევის ჯგუფია, რომელიც აფრთხილებდა ოთხთა საბჭოს არ დაეჭირა მხარი კოლჩაკისათვის და უთვალისწინებდა შედეგს ასეთ დახმარებისას, მოსალოდნელი იყო, რომ ოთხთა საბჭო უფრო ფრთხილი პოლიტიკის წარმოებას დაიწყებდა რუსეთში და თავის ჩარევით ხელს არ შეუწყობდა რუსეთის გაპარტახებულ ცხოვრების კიდევ უფრო განიავებას. ამას მოითხოვდა არა რუსეთის რევოლუციისადმი მათი სიმპატია, არამედ მათი ინტერესები რუსეთში. მაგრამ გამარჯვებით დამთვრალი ანტანტა ვერც თავის ინტერესებს ითვალისწინებს და კოლჩაკის თავის მფარველობის ქვეშ დაყენებით აშკარათ ჰყიდის რუსეთის შავი რეაქციის მფარველობას. ეს აშკარა იყო დღემდისაც და აქედან რუსეთში მოქმედ პარტიებს შესაფერი დასკვნაც უნდა გამოეყვანათ სახელმძღვანელოდ.

სამწუხაროდ, რუსეთის რევოლუცია დღეს ისეთი ჯგუფის ხელშია, რომლისთვის ერთი შინაური ბურჟუის დახვრეტა უფრო საპატიოა, ვინემ სახელმწიფოს გადარჩენა და მისი აღორძინება.

ის მძიმე მომენტი, რომელშიაც დღეს რუსეთი იმყოფება, ენერგიულად უკარნახებს საბჭოთა მთავრობას შესცვალოს თავის დამოკიდებულება საერთო დემოკრატიასთან და მით შესაძლებელი გახადოს საერთო ფრონტის შექმნა. რუსეთის ხსნა მხოლოდ ასეთი ფრონტის შექმნაშია. მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნის გადარჩენა, ხოლოდაც ის მოახერხებს კოლჩაკ-დენიკინის ფრონტის დანგრევას ისე, როგორც ეს შესძლო გაერთიანებულმა დემოკრატიამ თებერვალში.

სამწუხაროდ, საბჭოთა მთავრობა თავისი ვიწრო პოლიტიკით კიდევ უფრო ართულებს დემოკრატიის საერთო ფრონტის შექმნას; ის კიდევ ჩვეული ენერგიით აწარმოებს სამოქალაქო ომს იმათთანაც კი, ვინც სრულიად არ არის დაინტერესებული კოლჩაკის გამარჯვებაში და ასე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აქეთებს რეაქციის საქმეს და უადვილებს შავ გენერალს შავი მიზნების რეალიზაციას.

დემოკრატიის გაერთიანება, მისი ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა, დიქტატურის მაგიერ დემოკრატია—აი, რა იხსნის რუსეთს და რომ საბჭოთა მთავრობას შეეძლოს ამ უდიდეს მომენტის შეგნება-შეთვისება, ამით ის ბევრ დანაშაულს გამოისყიდდა რუსეთის ხალხის წინაშე.

რამდენიმე დღით ბაქოში

II

ვინ არ იცნობს ბაქოს პროლეტარიატს? ვის არ გაუგონია ის? ვინ არ მოუსმენია განცვიფრებაში მისი თავგანწირული ბრძოლით რევოლუციის წინა დღეებშიაც კი. არა ერთი და ორი ძვირფასი ფურცელი ჩაუწერია მას მუშათა მოძრაობის საერთო ისტორიაში. არა ერთი და ორი საუკეთესო წარმომადგენელი მიეცა მას მუშათა საერთო მოძრაობისთვის. ვისაც უნახავს წინათ ბაქოს მუშების კრებები, ვისაც უდევნებია მუშათა მოძრაობისთვის თვალ-ყური, მან კარგად იცის და ახსოვს ის მთელი რაზმი მოწინავე მუშებისა, რომლებიც როგორც ორატორული ნიჭით, გამოცდილებით, სიდინჯე-სიდარბაისლით და ცოდნით, ისე თავის პრაქტიკული საქმიანობით ბაქოს პროლეტარიატს მუდამ პირველ რიგში აყენებდა და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა. მიუხედავად ამისა ბაქოს პროლეტარიატს მუდამ ეჩნეოდა ერთი უდიდესი ნაკლი. ესაა—ორგანიზაციების სისუსტე, და ეს სისუსტე ამ ჟამად იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის საშუალებას აძლევს ზოგიერთ თავხედ და ხეპრე პირებს ითამაშონ ბაქოს პროლეტარიატის ბედით სრულიად უკონტროლოთ. ძველი გამოცდილი მუშები—სიამაყე ბაქოს მუშებისა—ან წასულან ბაქოდან, ან განზე გამდგარან. მუშათა ბედიღბალი ხელში ჩავარდნია სრულიად უპასუხისმგებლო პირებს და ისინიც თავ-აშვებულად ვარჯიშობენ თავის საბედისწერო ექსპერიმენტებში.

დღეს ბაქოს პროლეტარიატის ბედიღბალს განაგებენ „კომუნისტების ბავშვები", როგორც მათ ბაქოში ეძახიან. ეს მოუწიფებელი, პოლიტიკურად სრულიად გაუწვრთნელი ბავშვები, რომლების ცოდნა გამოცდილება არ სცილდება რამდენიმე გაცვეთილ ფრაზას, როგორც უნდა ისე ათამაშებენ ბაქოში დარჩენილ მუშათა მასის უფრო შეუგნებელ ნაწილს და ენერგიულად უწყობენ მათ ისეთ დამარცხებას, როგორიც არა ერთხელ და ორჯელ განუცდია ყველა იმათ, ვინც კი მათ ავანტიურისტულ ბადეში მოყოლია. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ბაქოს უკანასკნელი ამბები, გამოწვეული დენიკინის მოახლოვებით.

რომ დენიკინის შემოსვლა ჩვენში ნიშნავს რევოლუციის მონაპოვართა დასამარებას, რომ ის პირველ ყოვლისა გაანადგურებს მუშათა მოძრაობას და სასტიკ შურს იძიებს მუშებზე—ეს ინსტინქტიურად იგრძნო ბაქოს მუშათა მასამ და შეუდგა თავის ძალების და პოზიციების გამაგრებას. ამისთვის საჭირო იყო პირველ ყოვლისა დენიკინის წინააღმდეგ მოქმედი ყველა ძალების გაერთიანება და ასე შავი საფრთხის თავიდან აშორება. ის კიდეც შედგა ამ გზაზე და პირველი მისი მოწოდება მიმართული იყო საქართველოს დემოკრატიისადმი. ჩვენმა დემოკრატიამ გულწრფელად მიაწოდა გამოწვდილი ხელი და საერთო მოქმედების ხაზის გამომუშავებას შეუდგა. ამ მიზნით მოწვეულ იქნა ბაქოში მუშათა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ თფილისის მუშების წარმომადგენლებიც.

კამათი, რომელიც გაიმართა კონფერენციაზე და ის ზრახვანი და მისწრაფებანი „კომუნისტების ბავშვებისა", რომელიც ამ კამათში გამოაშკარავდა და ნათელ-ჰყო, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ რუსეთის რევოლუციის ამ საბედისწერო პარტიას დღემდის კიდევ არც რამე უსწავლია და არც რამე დაუვიწყნია. მაგრამ ამაზე შემდეგ.

განი.

ჩვენი დელეგაცია

ჩვენი საზავო დელეგაცია, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება, სალაპარაკო საგნათ გაუხდიათ ნაციონალ-დემოკრატებს.

ბ-ნ გვაზავას მიერ დაწყებული კამპანია ამ ნიადაგზე დაწვრილებულ კრებაში გადატანილ იქნა „საქართველოს" ფურცლებზე.

რაშია საქმე, რა ბრალსა სდებენ ნაციონალ-დემოკრატები ჩვენს დელეგაციას?

საქართველოს დელეგაცია, ამბობენ ისინი,

დღეს

მოკავშირეებმა გერმანელთა კონტრ-წინადადება არ მიიღეს. საზავო პირობებში უმნიშვნელო ცვლილებანი იქნება შეტანილი.

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი უარყოფით შეხვდა მოკავშირეთა ულტიმატუმს.

მოკავშირეთა სამხედრო საბჭომ გერმანელებს აუკრძალა ლიტვაში ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედ ჯართან ბრძოლა.

ლიტვამ დაიწყო დროებითი მთავრობის შედგენა და გადასწყვიტა დამფუძნებელი კრების მოწვევა.

გაგზავნილი იყო პარიზში კლემანსო-ლოიდ-ჯორჯ-ვილსონთან მოსალაპარაკებლად, ანუ ნაციონალ-დემოკრატების ენით რომ გამოვსთქვათ, სათხოვრად საქართველოს დამოუკიდებლობისა. ეს დელეგაცია კი, როგორც სოციალისტური, მუშათა ინტერნაციონალს ელაპარაკება, იმ ინტერნაციონალს, რომელიც მტერია იმპერიალისტების. ეს არის ბრალდება. აქედან დასკვნა ასეთია: იმპერიალისტები ამის შემდეგ ნდობის თვალით არ შეხედავენ საქართველოს, არ სცნობენ მის დამოუკიდებლობას!..

ერთი ფაქტიური შესწორება უნდა იქნას ნაციონალ-დემოკრატების ნათქვამში, თუ ნაწერში, შეტანილი: საქართველოს დელეგაციის სახელით, რამდენათაც ჩვენ ვიცით, მოხსენება თუ თხოვნა არ ყოფილა შეტანილი ინტერნაციონალში.

ასეთი მოხსენება სოციალისტურ ინტერნაციონალში გააკეთა თუ გინდ იმ ირ. წერეთელმა ან სხვა სოციალისტმა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით, რომელსაც თურმე ამის უფლება არ ჰქონია, ნაციონალ-დემოკრატების აზრით.

რატომ, რა საბუთით,—ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

სოციალისტი დელეგატები საქართველოს დელეგაციისა საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს გინდ ფრაქციებს მიმართავენ დახმარებისათვის.

სხვა საკითხია, თუ ეს პარტიები გავლენას ვერ მოახდენენ, მაგრამ იმის ლაპარაკი, რომ ამის უფლება არ ჰქონდა დელეგაციის წევრებსო, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდი უვიცობაა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გვაზავა გინდ რომელიმე სხვა ნაციონალ-დემოკრატი ასეთ შემთხვევაში, როგორც დელეგაციის წევრი, მიმართავდა დახმარებისთვის იქაური ქვეყნების ნაციონალ-დემოკრატების მონათესავე პარტიებს—იქაურ ბანკირებს, მრეწველებს, იქაურ ბურჟუაზიას...

ამიტომ ჩვენ არ გვიკვირს, როცა კითხვა ასე სდგას, როცა ჩვენს ნაციონალ-დემოკრატებს არაფერი სწამთ, არა თუ ჩვენი, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის და მთელს თავიანთ იმედებს ბურჟუაზიაზე ამყარებენ და ისე ცდილობენ საქმის მოგვარებას პარიზში, როგორც ამას აკეთებდნენ თვითმპყრობელობის დროს თფილისის გინდ პეტროგრადის დაწესებულებებში უკანა კარებიდან.

ასეთია მათი მსოფლმხედველობა, სრულიად წინააღმდეგი ჩვენი მსოფლმხედველობისა.

აი ამ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ეს მოვლენა ჩვენს ხაზსა და ნაციონალ-დემოკრატების ხაზს მუდამ აშორებს ერთმანეთისაგან და ასე იქნება მუდამ.

დელეგაციის გარშემო ატეხილი განგაშიც ერთი ასეთი საკითხთაგანია, სხვა არაფერი.

მუშათა წერილები

სადღეისო შენიშვნები.

II

დენიკინის გამოლაშქრებამ ამიერ-კავკასიის პარტიათა მისწრაფებებს ფარდა ახადა.

ანარქისტული ჯგუფები თავს იყრიან ერთი ლოზუნგის ირგვლივ და მის განსახორციელებლათ მოუწოდებენ ხალხს. იწვევენ საიდუმლო კრებებს, ემზადებიან და ეწევიან აგიტაციას პრესაში და ქუჩაში. მათ ამოძრავებას და ამ საერთო ვაკხანალიას შეუერთდა აგრეთვე საქართველოს რეაქციონური ჯგუფი „სალი-კლდიდან“.

გარეშე შემოტევას მოჰყვა შემოტევა შიგნიდან, ე. ი. ზურგიდან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მტერი ყოველთვის მტერია და ხელსაყრელ მომენტს ეძებს ღალატისათვის.

მუშათა კლასმა ეს კარგათ იცოდა და ჩვენთვის ეს ამოძრავება არც გასაკვირველია.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ ჟამად „დაშნაკცუთიუნის“ ისტორიული დუმილი.

პარტია, რომელმაც ტანჯული სომხის ხალხის სვე-ბედი ხელში ჩაიგდო, რომელმაც რამოდენიმე ათი წლების განმავლობაში თავის პოლიტიკის მსხვერპლი გახადა დევნილი ერი, დღეს ამ მძიმე საბედისწერო მომენტში ამიერ-კავკასიის ხალხთა ამოძრავებას „მდუმარებით“ შეხვდა. ცნობები, რომლებიც ჩვენამდის აღწევენ, აშკარათ მოწმობს „დაშნაკცუთიუნის“ „დუმილს“ და იგი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

ბორჩალოს, ახალქალაქის მაზრებში „დაშნაკცაკანთა“ აგენტები ხალხს „ახალ-ამბავს“ აუწყებენ, განთავისუფლებას პირდებიან. ბელიკლიუჩის რაიონში მოსახლე რუსთა კოლონიებში გამოჩნდნენ მათი მქადაგებლები, რომლებიც ეუბნებიან ხალხს: ახლო მომავალში დენიკინი მოვა, პური იქნება, ყველაფერი და განთავისუფლდებით ქართველთა მონობისგან.

ასეთი მოძრაობა ეძებს განაპირა ადგილებს და ეს იმ დროს, როცა ევროპაში „დაშნაკცაკანთა“ ინფორმაციამ უმაღლეს ზნეობრივ გაკოტრებამდე მიაღწია საქართველოს რესპუბლიკის შესახებ ცნობების მაწოდებაში, რასაც ამტკიცებს ინტერნაციონალურ სოციალისტთა თათბირზე მათი გამოსვლა და საფრანგეთის პრესაში აქედან მიწოდებული პროვოკაციული ცნობები.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ იმ შოვინისტურ პოლიტიკაში, რომელსაც 40 წელიწადია აწარმოებს სომხეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელი ინტელიგენცია—ბრალი დავსდოთ სომხის წამებულ-დევნილ, დანგრეულ-განადგურებულ ხალხს, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სიბნელეში მყოფთა „ზოგიერთი დამცველები“ ყოველივე უდიდეს მოვლენის დროს რჩევას განიცდიან და გარკვეული სიტყვა ვერ უთქვამთ თავის ხალხისათვის, ქვეყნისათვის.

დღეს კი, როდესაც ამიერ-კავკასიის თავისუფალ დემოკრატიისათვის, თვითგამორკვეულ ერებისათვის გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება, მუდმივ ბრძოლის მოყვარული, მუდმივ შფოთიანობის და მღელვარების მეთაური პარტია, „მდუმარების გზას“ ადგება და პილატესავით ხელს იბანს.

საქართველოს მუშათა კლასს, რომელსაც უბრძოლია საუკეთესო მერმისისათვის, როდესაც მისი რჩეული შვილები მტრის წინაშე პირის-პირ არიან წამდგარნი და ემზადებიან საბედისწერო ომისათვის, ზურგიდან „დუმილი“ ესმის.

პოლიტიკა „დაშნაკცუტიუნის“ ჩვენთვის გარკვეულია, იცის ყველამ ამ პარტიის მოძრაობის სამარცხვინო ფურცელი, დღეს ევროპის სოციალისტურ წრეებშიაც ფარდა ეხდება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჯერ კიდევ თავის ერს, სომხის დემოკრატიას არ ესმის თავის ტრაღედიის აქტიური ისტორიული თამაში. და ეს ტრაღედიის მეთაურები ტანჯულ სომხის ხალხს კვლავ მიაქანებენ ახალ უბედურებისაკენ.

მუდმივი ომები ნაციონალურ ნიადაგზე ძმათა შორის სისხლის ღვრა,—ეს ძირითადი საფუძველია „დაშნაკცუტიუნის“ მოღვაწეობისა და ამით დაჩრდილა სომხეთის დემოკრატიის პროგრესიული ლტოლვილება რევოლიუციონურ რეფორმისაკენ და ასეთი ტაქტიკით ცდილობს აიშოროს პასუხისმგებლობა თავის ერის, ხალხის და ისტორიის წინაშე ამ პარტიამ. სომხის ხალხის „განმანთავისუფლებელ დროშით“ გამოსულმა პარტიამ, რომელმაც ტყვეთ ჩაიგდო სომხის ხალხის ბედ-იღბალი, სისხლის მორევში ჩაძირა თავის სამშობლო და თავისი პოლიტიკით მისპო ერის ცოცხალი ძალები, მშვიდობიანობის მოტრფიალე ხალხს მუდმივ ომებში გადაუძახა, მეზობლებთან ძმური განწყობილების მაგიერ შური და მტრობა მოუწილა. საერთო თანხმობის და მოკავშირეთა ნაცვლად გამარტოვა, სხვისთვის მოქნეული ლახვარი თავის ხალხს ჩასცა და დიდი ხნით განსაცდელში ჩააგდო ის...

ანანია.

დამფუძნებელი კრება

20 ივნისის სხდომა.

(დასასრული)

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

თედ. ხოლოდაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონებისა: საშუალო სასწავლებლებისათვის ავანსის გადიდების და პირველ დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლათ საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ.

დ. თოფურიძე მოახსენებს კრებას დეკრეტს მთავრობის განკარგულებაში 20 მილ. მანეთის გადადების შესახებ უცხოეთში გასატან საქონლის დასამზადებლად და უცხოეთიდან საქონლის საქართველოში შემოსატანად. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ მთავრობამ ზოგიერთი საქონელი დაამზადოს აქ და უცხოეთში გადასცვალოს ჩვენთვის საჭირო საქონელში. ამისათვის საჭიროა ფული და ეს ფული დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადადოს მთავრობის განკარგულებაში.

ალ. ასათიანი (ნაც.-დემ.) თავის ფრაქციის სახელით მხარს უჭერს დეკრეტს, მხოლოდ მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ჯეროვანად მოეწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა: ჩვენი საქონელი არ მიდიოდეს იაფად და უცხოეთის საქონელს ჩვენ არ ვღებულობდეთ ძვირად. ორატორი აღნიშნავს, რომ უკეთესი იქნება, თუ ჩვენ საქართველოს საქონელს გავიტანთ უცხოეთის ბაზარზე და იქვე ვიყიდით ჩვენთვის საჭირო საქონელსო.

ი. ნუცუბიძე (ს. რ.) პრინციპიალურად თანხმობას აცხადებს მთავრობის განკარგულებაში ვაჭრობის მოსაგვარებლად ფულის გადადების შესახებ, მაგრამ წარმოდგენილ დეკრეტს არ უჭერს მხარს, რადგანაც იქ კონკრეტიულად არ არის ნაჩვენები, თუ რამდენს და რა საქონელს გაიტანს მთავრობა უცხოეთში და რას შემოიტანს საქართველოში. ორატორი წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას სამეურნეო კომისია, რომელიც ამ საკითხს მოაგვარებს.

თ. ღლონტი (ს. ფ.) თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს, რომ საჭიროა დღეს არსებული რამდენიმე სასურსათო უწყება შეიცვალოს ერთი გაძლიერებული სასურსათო სამინისტროს შექმნით. მთავრობამ სრულიად უნდა უარყოს კერძო პირების ჩარევა ვაჭრობის საქმეში და თვითონ აიღოს ხელში მისი მოწყობა-მოწესრიგება. ორატორი ფრაქციის სახელით მხარს უჭერს წარმოდგენილ დეკრეტს.

ნ. ელიავა (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ სოც.-დემ. ფრაქცია ამ დეკრეტს უყურებს, როგორც პირველ ნაბიჯის ცდას და ისე ფართოდ არ აყენებს საკითხს, როგორც აქ დააყენეს. საკითხის ფართოდ დაყენება დამოკიდებულია იმ შედეგებზე, რომელსაც მოგვცემს ეს პირველი ცდა. ორატორი უპასუხებს ასათიანს და ამბობს, რომ აქ ზედმეტია იმ ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება, რომ სახელმწიფოსათვის უკეთესია მეტი საქონლის გატანა და ნაკლების შემოტანა, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმ ობიექტიურ პირობებზე, რომელიც არ არის დღეს მაინც და მაინც ჩვენთვის ხელსაყრელი. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენი საქონელი იაფად სჯდება და უცხოეთის კი ძვირად, ეს აიხსნება საერთოდ საქონლის სახმარი ღირებულებით და იმ ბლოკადითაც, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენს ცხოვრებაში. უცხოეთის საქონელი იმიტომ ფასობს ძვირად, რომ ჩვენთვის ის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. დასასრულ ორატორი მხარს უჭერს ფრაქციის სახელით წარმოდგენილ დეკრეტს და ამბობს, რომ უკეთესია მთავრობამ თავის ხელში აიღოს ვაჭრობა-წარმოების საქმე, მაგრამ, თუ დასჭირდება, კერძო დაწესებულებებს და პირებს დახმარებასაც უნდა მიმართოსო.

ქ. კანდელაკი (ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი) ამტკიცებს, რომ საგარეო ვაჭრობაში განსაზღვრული გეგმის სასტიკად დაცვა და გატარება ყოვლად შეუძლებელი იყო ომისა და ობიექტიური პირობების გამო. ჩვენ იძულებული ვიყავით ვაჭრობა გვეწარმოებია მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ვინაიდან ბლოკადის გამო საშუალებას მოკლებული ვიყავით ევროპასთან გვეწარმოებია ვაჭრობა. როცა სახელმწიფო გამოდის მწარმოებლად, საჭიროა მეორე სახელმწიფოც მყავდეს კონტრაგენტებად. ამისთვის საჭირო პირობები არ იყო. ჩვენ არ შეგვეძლო ასეთ პირობებში საქონელი დაგვემზადებინა და იძულებული ვიყავით კერძო პირებისათვის დაგვეთმო ეს საქმე, რაც ჩვენთვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი, რადგანაც ვინც არის გატანის ბატონი, ფასის დამწესებელიც ის არის. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დეკრეტში კონკრეტიულად არ არის ნაჩვენები, თუ რის გატანას ვაპირობთ, მე უნდა განვაცხადო, რომ კონკრეტიულად რომელიმე საქონლის ჩვენება ყოვლად შეუძლებელია, მაგ. რომ დავწეროთ თამბაქო და შემდეგ ისეთი დრო დადგეს, რომ თამბაქოს მაგივრად სხვა რაიმეს გაზიდვა მოგვიხდეს, მაშინ უხერხულობის და შეუძლებლობის წინაშე დავდგებით.

მინისტრს მცირე თანხად მიაჩნია 20 მილ. მანეთი.

დასასრულ ორატორი ამბობს, რომ დღევანდელ წყობილებაში ყოვლად შეუძლებელია, რომ კერძო დაწესებულებებს და პირთ არ შეუთანხმდეს მთავრობა ვაჭრობის მოგვარების საქმეშიო.

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ დეკრეტი მცირე შესწორებით მიღებულ იქნა.

ივ. ჭავჭანიძის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა რკინის გზის მიერ დაკარგული ბარგისა და ბარგ.-საქონლის მისაცემ ფასის გადიდების შესახებ.

აკ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 ივნისი.

გერმანული რადიოს ცნობები.

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად შეხვდა ულტიმატუმს. შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ შეიდემანმა და რანტცაუმ მხარი დაუჭირონ ხელის მოწერას.

ვენაში წარსულ კვირას კომუნისტებმა აჯანყება მოახდინეს, მაგრამ მალე ჩააქრეს, რადგანაც პარტიის ლიდერები შაბათს უკვე დაპატიმრებულნი იყვნენ. ეცადნენ მათ განთავისუფლებას, მოხდა სროლა, რომლის დროსაც რამდენიმე მოკლულია და დაჭრილი.

ლიტვამ დაიწყო დროებითი მთავრობის შედგენა და გადასწყვიტა დამფუძნებელი კრება მოიწვიოს.

ინგლისური რადიოს ცნობები.

მოკავშირეებმა გერმანელთა კონტრ-წინადადებათა მიღება შეუძლებლად სცნეს. ხელშეკრულებაში ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებანი იქნება შეტანილი.

გუშინდელ კრებაზე ამერიკის სოციალისტებმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს წინ აღუდგნენ მათ წრეში ბოლშევიზმის გაჩენას. 20 ხმით, წინააღმდეგ 1-სა უარყვეს წარმოდგენილი 4 წინადადება, რომელთაგან ერთი მოითხოვდა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ეცნოთ.

მოკავშირეთა უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გერმანელებს აუკრძალა ლიტვაში ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ლიტვის ჯარის წინააღმდეგ. ბრძოლა და ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ლიტვის მთავრობის შედგენის წინააღმდეგაა მიმართული.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. ივნისის 20. დასავლეთის ფრონტი. ოლონეცის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ნოვოსვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. სამხრეთის ფრონტი. მარიუპოლის მიმართულებით სადგ. პოლოგის და გულიაპოლეს რაიონები დავიჭირეთ. ეკატერინოსლავის რაიონში ბრძოლაა. იზიუმის მიმართულებით მოწინააღმდეგემ სად. შებელინკა დაიჭირა და სტარაია-კრიუშა დავსტოვეთ. ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდა და სოფ. ბეკეტოვკა დაიჭირა. აღმოს. ფრონტი. ურალსკს მტერი ზარბაზნებს უშენს. ორენბურგის რაიონში ნოვო-კონდეღსკაიასთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სტერლიტამაკის რაიონში შეღვკა დავიჭირეთ, უფის რაიონში ჩვენმა ჯარმა სამხრეთ-დასავლეთით არხანგელსკი დაიჭირა. ხელთ იგდო 2 ტყვიისმფრქვეველი, 95 თოფი და 50 კაცი ტყვეთ წამოიყვანეს. ოსინის მიმართულებით ჩვენ პანკოვო დავიჭირეთ. პერმის რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. კუზმას მიაღწია და აღმოსავლეთისაკენ უტევს.

მოსკოვი. 20 ივნისი. ბაქოდან ჩამოსული ამხანაგი კოლომიიცევი შემდეგს გადმოგვცემს: მუღანში, ბაქოს გუბერნიის სამხრეთ ნაწილში, სადაც 80,000 მცხოვრები ითვლება, რომელთა შორის 70 პროცენტს მაჰმადიანები შეადგენენ, საბჭოთა მთავრობა შესდგა. მუღანის გლეხთა ყრილობამ ერთხმად დაადგინა: მუღანი რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადოს და მიესალმება მესამე ინტერნაციონალს და წითელ მოსკოვს.

ახალი ამბები

დღეს, 22 ივნისს, დილის 12 საათზე დანიშნულია საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა.

◆ დიდი ხეირნობისათვის. 28—29 ივნისს სასახლის ბაღში დანიშნულ სეირნობისათვის, ფრონტზე დახოცილ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ, შემოსწირეს ნივთები: ძმათა ხეილაშვილებმა 400 მანეთის, ენფიაჯიანცმა 840 მანეთის, რკინის-გზის სასურსათო კომიტეტმა (თამბაქო) ექვსი ათასი მანეთის, პაპიროსების ფირმამ „კომეტამ“—ორასი მანეთის, ბოზარჯიანცმა 820 მანეთის. კოოპერატივმა „ალორძინებამ“ ათასი მანეთის და წვრილ-წვრილათ ბევრმა სხვებმაც აღუთქვეს აგრეთვე დახმარება. აფიცერთა დამხმარე საზოგადოებამ, სხვადასხვა კოოპერატივებმა და კერძო პირებმა. ასე რომ, ლატარეისათვის მრავალი ნივთები გროვდება; სეირნობის პროგრამაც შინაარსიანი იქნება სხვა მხრითაც. იმედია თფილისის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდება ამ საყურადღებო სეირნობას. განზრახულია დილით ბავშვების სეირნობის მოწყობაც. კომისია.

◆ პროფ. ხახანოვთან არსებული სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობამ ჩაიბარა ხსენებული წიგნთსაცავისთვის შემოწირული წიგნები და ფული. მუხრან ხოჯელავასაგან 200 მ., შაქრო ნაცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილისაგან 1000 მან. წიგნები: ი. გომართელისაგან, სამვარელიძისაგან, ლ. ცაგურიასაგან, ა. სალარიძესაგან, ს. იორდანიშვილისაგან, სირბილაძესაგან, ქ-ნ კიკვაძესაგან, ქ-ნ ა. თოხაძესაგან, ნ. სეროვისაგან, ი. ნაკაშიძესაგან, ქ-ონ თ. მაკალატიასაგან, ქ-ონ შ. სოლილოვისაგან, სილბისტ. თავართქილაძისაგან, შ ქართველიშვილისაგან. შემომწირველთ გამგეობა უძღვნის გულითად მადლობას.

შემოწირულება მიიღება: პროფესიონალურ საბჭოს სეკრეტარიატის ოთახში ქ-ნ მექანარე ლომთათიძესთან, სასახლეში—დამფუძნებელ კრების ქვესტორ ბ-ნ ს. ჟორჟოლიანთან, „ნაკადულის" რედაქციაში ქ-ნ ნ. ნაკაშიძესთან, და სასახლეში დამფუძნებელ კრების კანცელარიის ეკზეკუტორ გ. მაისურაძესთან.

◆ **მუშათა კლუბში** დღეს დილით საბავშვო სეირნობაა, საღამოთი—მსახიობ ვრონსკის მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ **ქურდობა.** კრასნოგორის ქუჩაზე მცხოვრებ სოფ. კანდელაკისამ მილიციაში განაცხადა, რომ ბოროტ-მოქმედებმა მისი ბინიდან გაიტაცეს 10,000 მან. ღირებული სხვადასხვა ნივთები.

◆ **დაეკარგა** მე, ელიზბარ გაგნიძეს, საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა საწევრო ბარათი № 145. მპოვნელს ვთხოვ გამომიგზავნოს საქართველოს სახაზინო რკინის გზის სამმართველოში.

◆ **სასამართლოს პალატის შენობაში** დღეს, დილის 11 ს. შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება, სადაც მოხსენებას წაიკითხავს იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გ. გველესიანი შემდეგ თემაზე: საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის პირველი სამინისტრო და საქართველოს სენატი.

◆ **ალ. ლომთათიძის მოხსენება.** დღეს, საღამოს 7 ს. სახალხო უნივერსიტეტის მე 7-დე განყოფილებაში (საზოგადოების სახალხო თეატრი) ალ. ლომთათიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო". მოხსენებაზე შეუძლია დასწრება როგორც მსმენელთ, ისე კერძო პირებს.

ქრონიკა.

ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 ს., დანიშნულია დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სხდომა—დამფუძნ. კრ. კანცელარიაში.

— დღეს, დილის 11 ს. ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართული სამუსიკო საზოგადოების კრების გაგრძელება.

— დღეს ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე საღამოს 5 ს. შესდგება სხდომა საქ. ახალ. მარქსისტთა ორგ. ცენტრალური კომიტეტისა.

— სამშაბათს, 24 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ხელოსანთა სამმართველოში დანიშნულია კრება ყველა ტფილისის ქართულ პურის მცხობელთა. გასარჩევია მესამე შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის საკითხი და სხვა მრავალი საზოგადო საქმენი.

— ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6. ს. ტ. ქ. გ. საზ. ბინაზე დანიშნულია სეირნობის მომწყობი კომისიის კრება.

სამუსლიმანო საქართველო

სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია ჩვენ მოძმე ქართველ მაჰმადიანობის საკეთილდღეოთ, ძილს უფრთხობს ბეგებს და მათ ამყოლ დამყოლთ. უკანასკნელთ კარგათ იციან, რომ ხალხის გამოფხიზლება ნიშნავს, მათ ბატონობის მოსპობას და მიტომაც ასე გააფთრებით იბრძვიან სამუსლიმანო განმანთავისუფლებელ კომიტეტის წინააღმდეგ. ამ შავ ყორნებს თითქოს ხელსაყრელი პირობები დაუდგათ. დენიკინის აგენტებით სავსეა ბათუმის ოლქი და, აბა, მათზე კარგ მოკავშირეებს სად იშოვნიდენ? დენიკინელები, ისე ბეგები—ხომ ანარქიაში და დემოკრატიის სისხლში ჩახშობაში ხედავენ თავიანთ ხსნას და პოვებენ შვებას. „სამუსლიმანო საქართველო"-ს № 118-ში დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ ინტრიგების ამბავი, რომელიც ასლან ბეგ და ჯაფარ ბეგ ხიმშიაშვილების და მათმა ამყოლ დამყოლებმა გამოიწვიეს.

პარასკევს დღეს ხულოში სალოცავად მოეყარა ხალხს თავი, ხსენებულ ბეგებმა ხალხში გაურიეს სხვა და სხვა ადგილებიდან მოწვეული თავიანთ აგენტები: ზაბით ალი პაშაოღლი, ხასან-ალი ქადიოღლი, ქემალ ალი ქადიოღლი, ხასან-ალი ირემაძე, მოლა ისმაილ მამალოღლი და სხვ. დაიწყეს ქადაგება,—აქ ყოფილან ქართველები და ჩვენ ქვეყანას გაყიდვას უპირებენო.

სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის განყოფილების თავმჯდომარემ შაი ალი კადი ოღლიმ განუმარტა ხალხს კომიტეტის იდეა. შაი ალის სიტყვამ კარგი გავლენა მოახდინა ხალხზე. ილაპარაკეს აგრეთვე კომიტეტის მომხრეებმა. ხალხი ჯაფარ ბეგის და ასლან ბეგის მისწრაფებას უნდობლობით შეხვდა. ამ დამარცხებით არ დაკმაყოფილდენ ეს ბეგბატონები და სხვადასხვა ხრიკებით ცდილობენ კომიტეტის დაშლას, მაგრამ, საბედნიეროთ, მათ ინტრიგებს გასავალი არ აქვს ხალხში. ყურად საღებ ამბავს მოგვითხრობს იგივე გაზეთი. 10 ივნისს მარადიდში იქაურ ადმინისტრაციის მილიციელების საშუალებით დაუზარებია სოფელ ხევის მცხოვრებნი. კრებაზე გამოცხადებულა 20—25 კაცი. ამათთვის გამოუცხადებიათ, რომ თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ ქაღალდს, რომლითაც უნდა განაცხადოთ, რომ თქვენ გსურთ ინგლისელების მთავრობაო. კრებას იქვე აღძვრია: აქ რაღაც სხვა უნდა იყოს, ალბათ, გვატყუებენო და მოუთხოვია გაეცნოთ მათთვის ქაღალდის შინაარსი, რომელზედაც მათ ხელი უნდა მოეწერათ. სამართლიანი მოთხოვნა ხალხისა არ დაუკმაყოფილებიათ და მილიციონრების საშუალებით ზოგიერთებისათვის ძალით მოუწერინებიათ ხელი. როგორც გამოირკვა, ქაღალდში დაწერილი ყოფილა, რომ ხალხი თხოულობს სამუსლიმანო საქართველოს განყოფილების წევრები მოგვაშოროთო. ალი-ეფენდი ნაკაშიძეს, ხანდი ეფენდი ჯაფარიძეს, რეჯებ-ალა სოყიოღლის, ისმაილ ალა-კარა ალაზედეს და სხვა ზოგიერთებმა ქაღალდს ხელი არ მოაწერა. ამათ შორის რეჯებ-ალა ამობდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენ მუსლიმანობის და ქართველობისათვის ვმუშაობთ და ასეთ მუშაობას ვერვინ აგვიკრძალავსო. როცა კანცელარია დაცარიელდა, ხაკი ეფენდი ჯაფარიძე მიიწვიეს კანცელარიაში და უთხრეს, რომ ხალხი გიჩივის თქვენ, ჩვენ ბრძანება გვაქვს, რომ ვინც საქართველოს სასარგებლოთ იწევს აგიტაციას, ყველა დაატუსაღოთ. ქაღალდი, რომელზედაც ძალით ხელი მოაწერინეს ზოგიერთებს, აღმოჩნდა შემდეგი შინაარსის: ხაკი-ეფენდი ჯაფარიძე, ხუსეინ ალა-ჯაში, თუყან ალა-ჩაუშოღლი, მასალი ბეგ ქაბიშ-ოღლი ჩვენ გვატყუებენ და პროპაგანდას ეწევიან. მთავრობას ვაცნობებთ ამით, რომ ასეთები ჩვენ არ გვინდა. ჩვენ ინგლისის მთავრობის გარდა სხვა არავითარ მთავრობას არ ვცნობთ. ხუსეინ ალა ჯაში არის სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის განყოფილების თავმჯდომარე და ხაკი-ეფენდი ჯაფარიძე კი მისი ამხანაგია, დანარჩენები კი, ვინც ამ ქაღალდში არიან მოხსენებულნი, განყოფილების წევრებია". ხაკი ეფენდიმ ამ ქაღალდის შინაარსი გააცნო ხალხს; გამოირკვა, რომ ხალხს არ გააცნეს ქაღალდის შინაარსი და დამუქრებით მოაწერინეს ხელი. ამ გარემოებამ დიდი აღელვება გამოიწვია ხალხში; ყვიროდნენ, რომ ასეთ დატყუებისათვის მიემართათ საჩივრით უმაღლეს ადმინისტრაციისო. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ მემედ-ბეგ აბაშიძემ ამის შესახებ განცხადებით მიმართა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორს.

სანდრო მაისურაძე

საშა ნარიმანიშვილი

ეკატერინენფელდის ბრძოლა და ძმათა სასაფლაო.

ამ ექვსი თვის წინად, სახელდობრ,—22 დეკემბერს ღამით ეკატერინენფელდთან ბრძოლაში დაიღუპნენ ის გვარდიელები, რომლებიც ამ ჟამად ტფილისში „ძმათა სასაფლაოზე" განისვენებენ...

ბევრი გვარდიელი, ჯარისკაცი და აფიცერი შეეწირა თავისუფლებისთვის ბრძოლას, ბევრი გამოესალმა წუთისოფელს, ბევრი დასახიჩრდა და, როცა იგონებ საერთოდ ჩვენი ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეიძლება ყველა ეს გმირები თვალწინ არ დაგიდგეთ, არ შეიძლება თქვენს ხსოვნაში თითოეულ მათზე, თუ კი იცნობდით, ამ ბრძოლის რომელიმე მომენტმა არ გაგირბინოსთ.

თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი საუკეთესო მომენტთაგანია ის მოგონება, რომელსაც გამოხატავს „ძმათა სასაფლაო".

ეს სასაფლაო, რომელიც მთელს ტფილისს ზევიდან დასცქერის, სადაც ფრიალებს წითელი დროშა, მოაგონებს თავისუფლების დამცველთ, თუ როგორ უნდა ბრძოლა, ხალხის სამსახურისთვის თავის დადება...

დღეს, ექვსი თვის თავის შესრულების გამო, მებრძოლნი მუხლმოდრეკილი მოიგონებენ ბრძოლის ველზე დაღუპულ ამხანაგებს.

ჩვენ განვაგრძობთ თქვენ მიერ დაწყებულ ბრძოლას,—აი როგორი იქნება მათი ჩამახილი!..

სახალხო გვარდია, მისი შტაბი, რეგულიარული ჯარი—დიდი, პატარა, ქალი, კაცი—განვაგრძობთ ძველებურათ თქვენის გზით სიარულს და შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩამოვძახებთ:

ჩვენ გავიმარჯვეთ!..

სავალუტო საქონელი

ჩვენი ბონების ფასი დღითი-დღე ეცემა; ამას ხელს უწყობენ ჩვენი „კეთილის მოსურნენიც", რომელთა მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ ბონების ფასების დაცემას ხელი შეუწყონ სხვადასხვა ხელოვნური საშუალებით; და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ფინანსიური კრიზისი საშინელი კატასტროფით დამთავრდება. რომ ამ კატასტროფას თავი დავაღწიოთ, საჭიროა დროით იქნეს მიღებული სათანადო რადიკალური ზომები.

უწინარეს ყოვლისა ვალუტის შეძენაზე უნდა ვიფიქროთ; დღევანდელ პირობებში შესაძლოა მხოლოთ და მხოლოთ უცხო ვალუტის ნაწილობრივი შეძენა. ამ გზით ჩვენ, თუ სულ ვერ შევაჩერებთ ბონების ფასების დაცემას, საგრძნობლათ მაინც შევანელებთ ამ პროცესს, და ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. უცხოეთის ვალუტის შესაძენათ გამოყენებული უნდა იქნეს ის ნედლი მასალა, რომელიც ჩვენში მოიპოვება, მაგრამ გამოყენებით კი ადგილობრივათ ვერ გამოვიყენებთ საკუთარი წარმოების უქონლობის გამო. ზოგი ისეთი საქონელი, რომელიც დიდ სამსახურს გაგვიწევდა ვალუტის შეძენის საქმეში, თანდათან გვეცლება ხელიდან სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტების წყალობით. ამ საქონელთა შორის ყურადღების ღირსია პარკი. ამ უკანასკნელის საგრძნობი ნაწილი, როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, უკვე გაუპარებიათ საზღვარგარეთ; ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ზღვის ნაპირები ჯეროვნათ არ არის დაცული, რაც ჩვენს მძარცველ—სპეკულიანტებს საშუალებას აძლევს მოახერხონ საქონლის ზღვაში გატანა პატარა ნავებით და იქ კი უცხოელთა დიდ გემებში გადატვირთვა. მიუხედავათ ამისა, ჯერ კიდევ პარკის საგრძნობი რაოდენობა მოიპოვება ჩვენში,—დაახლოვებით 8,000 ფუთზე ნაკლები არ უნდა იყოს,

ჩვენმა მთავრობამ დაუყონებლივ უნდა მიიღოს ყოველივე ზომები, რომ პარკი მხოლოდ და მხოლოდ ვალუტის შესაძენათ იქნეს გამოყენებული. ამისათვის საჭიროა ყველა პარკი, რამდენიც კი მოიპოვება დღეს საქართველოში, ჩამოერთვას ჩვენს სპეკულიანტებს მტკიცე ფასებში. როგორც სჩანს, პროვინციიდან მიღებულ ცნობებიდან, ჩვენი ვაჭრები ფუთ პარკს 8000—8500 მანეთად აფასებენ; ეს ფასები უაღრესად სპეკულიანტურია. ჩვენის აზრით ვაჭრების მადას მთავრობამ ფრთები უნდა შეაკვეცოს და 1200—1300 მანეთამდე შეიძინოს პარკი.

ჩამორთმეულის საშუალებით მთავრობა შეაგროვებს 8000 ფუთამდე პარკს. დღეს ფუთი პარკი ბათუმში 180—200 ფრანკამდე ფასობს. ჩვენ რომ 180 ფრანკი ვიანგარიშოთ, 8000 ფუთში მივიღებთ 1,440,000 ფრანკს; პარკი კი 1300 მანეთის კვალობაზე დაგვიჯდება 10,400,000 მანეთი. ამნაირათ 1 ფრანკი დაგვიჯდება = 10,400,000 : 1,440,000 = 7,22, ე. ი. 7 მან. და 22 კაპ. ჩვენს ბონებზე; დღეს კი ერთი ფრანკი ჩვენ ბონებზე ღირს 15 მან. ამ ოპერაციით მთავრობა შეიძენს 1,440,000 ფრანკის უცხო ვალუტას და მოიგებს 11,200,000 მან., ვინაიდან, ამდენი ფრანკი რომ ჩვენს ბონებზე ეყიდა, დაუჯდებოდა დღევანდელი კურსის მიხედვით 21,600,000 მან.

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ ვალუტის შესაძენათ დღევანდელ პირობებში საუკეთესო საშუალებაა პარკის და სხვა ამგვარი სავალუტო საქონლის გამოყენება. ასეთ საქონელს ჩვენმა მთავრობამ მაგრათ უნდა ჩასჭიდოს ხელი და იხსნას იგი სპეკულიანტების ბრჭყალებისაგან. ეს კი უნდა მოხდეს დაუყონებლივ, თორემ შეიძლება შემდეგ გვიან იქნეს.

ანი.

ხალხთა ლიგა

(გაგრძელება)

სანქცია.

16 მუხლი. თუ რომელიმე წევრი ლიგისა წინააღმდეგ ვალდებულებისა, რომელიც მიღებულია მე-12, 13 და 15 მუხლით, ომს მიმართავს, იგი ჩაითვლება სამხედრო მოქმედების დაწყებათ ლიგის ყველა წევრის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გასწყვიტონ მასთან ყოველგვარი სავაჭრო და საფინანსო დამოკიდებულება, აღუკრძალონ თავიანთ მოქალაქეებს ყოველგვარი ურთიერთობა ლიგის იმ წევრთა მოქალაქეებთან, რომლებმაც ხელშეკრულობა დაარღვიეს და შეუწყვიტონ ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა და ლიგის წევრ სახელმწიფოთა და არა წევრთა მოქალაქეებთან ყოველგვარი სავაჭრო და პირადი დამოკიდებულება.

ამ შემთხვევაში საბჭო მოვალეა ურჩიოს ყველა დაინტერესებულ მთავრობას რაოდენობა სამხედრო და საზღვაო ნაწილებისა, რომლის საშუალებითაც ლიგის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ შეიარაღებულ ძალის შედგენას, რომლის დანიშნულებაც არის უზრუნველყოს ლიგის მიერ დაკისრებული ვალდებულებათა პატივისცემა.

ლიგის წევრნი თანახმანი არიან, ერთმანეთს ხელი შეუწყონ ეკონომიურ და ფინანსიურ ზომების განხორციელებაში, რაიც გამომდინარეობს ამ მუხლიდან, რათა მინიმუმამდე შემცირებულ იქნას ამის გამო მოსალოდნელი ზარალი და უხერხულობანი.

ამავე რიგათვე ისინი ერთმანეთს შველიან წინააღმდეგობის გაწევაში ყოველ საგანგებო ღონისძიებით, რომელიც მიმართულია ხელშეკრულობის დამრღვევ რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისინი ყოველივე საჭირო ზომებს იღებენ, თავის ტერიტორიაზე გავლა შეუმსუბუქონ ლიგის ყოველ წევრს, რომელიც საერთო მოქმედებაში მონაწილეობას იღებს იმ მიზნით, რომ ლიგის მიერ დაკისრებული ვალდებულებათა პატივისცემა უზრუნველყოს.

ლიგიდან შეიძლება გამორიცხულ იქნეს თვითეული წევრი, რომელიც ამ ხელშეკრულობიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას დაარღვევს. გამორიცხვა უნდა გადასწყვიტოს ლიგის დანარჩენ ყველა წევრთა ხმით, რომელნიც წარმოდგენილნი არიან საბჭოში.

დავა, რომელიც ეხება ლიგის გარეშე მყოფს ერთს ან რამდენიმე სახელმწიფოს.

17 მუხლი. თუ ამტყდარია დავა ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი ლიგის წევრი, ან არც ერთი არ არის, მოწვეულ უნდა იქნან და უნდა მიეცეთ წინადადება ის ვალდებულებანი შეასრულონ, რომელსაც ლიგა თავის წევრებს აკისრებს, რათა ამ გზით დავა გადასწყდეს სამართლიან პირობებში, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

თუ ასეთი მოწვევა მიღებულ იქნა, მაშინ საბჭო ხელმძღვანელობს მე 12 და მე-16 მუხლებით, რომლის მოსაწვევ ქაღალდის გაგზავნის უმალ საბჭო დავის გამორკვევას იწყებს და ისეთს ღონისძიებებს ასახელებს, რომელიც მას ყველაზე უკეთესად და მიზანშეწონილად მიაჩნია ასეთ შემთხვევისათვის.

თუ მოწვეული სახელმწიფო, ლიგის მიერ

დაკისრებულ ვალდებულებას არ აასრულებს და ომს დაიწყებს ლიგის წევრთა წინააღმდეგ, მაშინ მას ისე მოექცევიან, როგორც ეს აღნიშნულია მე 16 მუხლში.

თუ ორივე მხარე უარს ამბობს საბჭოს წინადადებაზე, მაშინ საბჭო მოვალეა ყოველგვარ ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომელსაც შეუძლიან მტრული მოქმედების აცილება და შეთანხმოების მშვიდობიანის გზით გადაწყვეტა.

რეგისტრაცია.

18 მუხლი: ყოველგვარი ხელშეკრულობა, ან საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მომავალში მოხდება ლიგის წევრთა შორის, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სეკრეტარიატს და გამოქვეყნებულ იქნას პირველ შეძლების დროს. არც ერთს ხელშეკრულობას ან შეთანხმებას სავალდებულო ძალა არა აქვს მის რეგისტრაციამდე.

ხელშეკრულებათა განხილვა.

19 მუხლი. კრებას შეუძლიან დროგამოშვებით ლიგის წევრები მოიწვიოს იმ ხელშეკრულებათა განსახილველად, რომელმაც თავისი დრო მოსჭამა, აგრეთვე საერთაშორისო დებულებათა შესაცვლელად, რომლის დატოვებასაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს მშვიდობიანობის საფრთხეში ჩაგდება.

შეთანხმებანი, რომელიც ხელშეკრულობას არ ეწინააღმდეგება.

20 მუხლი. ლიგის წევრნი აღიარებენ, რომ ეს ხელშეკრულობა უარჰყოფს ყოველგვარს პირობას, ან შეთანხმებას, რომელიც მას ეწინააღმდეგება და ვალდებულად ხდიან თავს მომავალში ასეთი პირობანი არ შეჰკრან.

თუ რომელიმე სახელმწიფოს ლიგაში წევრად შესვლამდე აქვს დადებული პირობა, რომელიც ხელშეკრულობას ეწინააღმდეგება, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ღონისძიებანი ამ ვალდებულობიდან თავის დასახსნელად.

შეთანხმებანი, რომელიც ხელშეკრულობას არ ეწინააღმდეგება.

21 მუხ. საერთაშორისო შეთანხმებანი, მაგალითად სამრბიტრაჟო ხელშეკრულობანი, ან ადგილობრივი შეთანხმებანი, როგორც მონროს დოქტრინა, რომელიც მშვიდობიანობას უზრუნველყოფს, არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულობას.

(დასასრული იქნება).

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 4 ივნისს საღამოთი შესდგა ტრამვაის მოძრაობის მუშა მოსამსახურეთა საერთო ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მიმდინარე კითხვები თანამედროვე მომენტზედ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფ. ლორია. საერთოდ კრებამ მოისმინა და გაეცნო რა შექმნილ მძიმე მდგომარეობას მოხალისეთა ჯარის შემოტევაზე გადმოსვლის გამო, მცირე აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი: შემდგენილი რეაქცია, რომელიც მოიწევს ჩრდილოეთიდან მოხალისეთა ჯარის სახით, წალეკვას და განადგურებას უქადის რუსეთის დიდ რევოლიუციის მონაპოვარ ყველა თავისუფლებას. ის საშინელ საფრთხეში აგდებს აგრეთვე ამიერ-კავკასიაში არსებულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობასაც. განსაკუთრებით კი შიშს იწვევს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ამიტომ საჭიროა ამ შავი საფრთხის წინაშე დავაყენოთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ძალები, ერთხელ და სამუდამოთ საბოლოოთ შევმუსროთ საშინელი რეაქციის შავი აზრები, კრება იწონებს ყველა იმ ზომებს, რომელიც მთავრობამ მიიღო და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას. სასურსათო საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან საზღაპრო სიძვირე პირველ მოთხოვნილების საგნებისა, რომელიც ეს იგივე მდგომარეობაში აყენებს მოსამსახურეებს, რომ არ აქვთ საშუალება შეიძინონ მათთვის აუცილებელი საარსებო საგნებიც კი, ეს გვაიძულებს ჯამაგირის ახალ მომატებას, მაგრამ ეს გამოიწვევს საგნებზე ისევ ფასების გადიდებას. ამიტომ კრება საჭიროთ სთვლის, არა ჯამაგირების მომატებას, არამედ პურის რაციონის მიცემას და სხვა საგნების ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდებას.

მოსე უუმურისპირელი

მუშათა შორის

ტფილისი, 18 ივნისს მექანიკურ სატრანსპორტო-სააქციონერო ქარხანაში მოხდა მუშების კრება. მოხსენება მიმდინარე მომენტზე გააკეთა ა. ბიტაძემ. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და გავითვალისწინეთ, რომ დენიკინის სახით საქართველოს რესპუბლიკას თავს ესხმის რუსეთის კონტრ-რევოლიუცია, გაძლიერებული ევროპის იმპერიალიზმით, დავადგინეთ: 1) მთელი ძალ-ღონე მივცეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ტფილისის მუშათა საბჭოსთან და საქართველოს დემოკრატიასთან ერთად აწარმოებს სასტიკ ბრძოლას დენიკინთან. 2) მოვუწოდებთ ყველა რევოლიუციურ პარტიებს დაივიწყონ პარტიული და ფრაქციული განხეთქილება და საერთო ძალით ეკვეთონ შავ რეაქციას. 3) ყველა გამოიშველი ნაბიჯები მუშათა შეერთების საქმეში უნდა ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის ღალატათ და ძირშივე ამოიფხვრას. 4) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები ზურგში მოღალატეების წინააღმდეგ და ჩაითრიოს ბრძოლის წარმოებაში შეძლებული ხალხი. 5) მოვუწოდებთ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს მჭიდროთ შეეკავშირდენ და საერთო ძალით აიცილონ დენიკინის შავი საფრთხე.

თ. მაშოშვილი.

პროვინცია

თელავი. სამაზრო ერობას 22 ივნისისათვის დანიშნული აქვს ყვარელის და წინანდალის რაიონის სათემო საერობო ერთეულების ხმოსანთა არჩევა, იყალთოს და ნაფარეულის რაიონში მოხდება 29 ივნისს. საარჩევნო კომისიები უკვე მოწყობილია. საკანდიდატო ხმოსნები დასახელებულია. ორ რაიონში კიდეც გააკრეს ხმოსანთა სია, კანდიდატების დასახელების დროს ხელმძღვანელობდენ არა პარტიულად, არამედ ირჩევდენ უმთავრესად მამაქმედ და სოფლის გულ შემატკივარ პირებს.

აღსანიშნავია ის, რომ თელავის მაზრის ბევრ სათემო ერთეულებში არა გვყავს ისეთი სახმოსნო პირები, რომ მათ შეეძლონ სათემო ერთეულების გამგეობაში სალი და მცოდნე პირების არჩევა. და თუ ერთეულები არ შედგა მცოდნე პირებისაგან, მაშინ სამაზრო ერობას გაუძნელდება მოქმედება. ამისათვის საჭიროა ერობამ თვითონ მიიღოს ინიციატივა, რომ გამონახოს შესაფერი პირები გამგეობაში გასაყვანათ, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მაზრას.

ამ მაზრაში მიწის რეფორმის გატარება კუს ნაბიჯით მიდის. ბევრი ყანას პატრონები ზოგიერთ კომისიას არ აძლევს ნებას მინდორში მუშაობისას, ყანა გამიფუჭებენო. თუ ასე გაგრძელდა მუშაობა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეფორმის გასატარებლათ მოგვინდება ორი სამი წელიწადი. ბევრ სოფლებში ამ წელს მიწის განაწილება არ მოხდება, ვინაიდან კომისია ჯერ უნდა შეუდგეს მიწების ჩამორთმევას, როგორიც არის სახაზინო და სხვა. აზრათ აქვთ ჯერ ჯერობით ხალხთა შორის განაწილდეს კერძო მესაკუთრეებიდან ჩამორთმეული მიწები, შემდეგ სახელმწიფო და სხვა, ჩვენის აზრით ამ მაზრაში ასეთი დაყოფა სხვადასხვა დროს მიწების გასანაწილებლათ, ყოვლად შეუძლებელია, ერთი იმ მხრით, რომ ხალხში გამოიწვევს დიდ გაუგებრობას, მეორეთ ის, რომ გაიორკეცდება ორმაგი მუშაობა. დღესვე უნდა შეგროვდეს ყოველნაირი სახელმწიფო მიწები. ეს კერძო მესაკუთრეებიდან იქნება, თუ სახელმწიფოსაგან ჩამორთმეული მთელი ფონდი უნდა შეგროვდეს ერთად. აქედან ერობამ უნდა გამოყოს საზოგადო საჭიროებისათვის, როგორიც არის საავადმყოფოები, სააგრონომიო საქმისათვის, ხალხისთვის საჭიროებული გასაშენებელი მიწები, და სხვა ამგვარი. დანარჩენი მთელი ფონდი უნდა იქნას კანონის და მიხედვით განაწილებული უმიწო წვრილ ხალხზე. რაც შეეხება მიწის გამოყოფის საკითხს, ხალხი ასეთი გამოყოფით კმაყოფილია გარდა თითო ორიოდე პირებისა.

ამ მაზრაში, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გენერალ-გუბერნატორმა ბევრ ყაჩაღ ქურდ ბაცაცებს მოუსპო თარეში. დღეს ისევ გაახალა თავ ამეებულმა პირებმა თავის საზიზღარი მოქმედება. ხალხი ისეთ შიშს შეუპყრია, რომ სოფლიდან სოფელში ვერ გადასულა ავაზაკების შიშით. ერთი კვირის წინათ აქ ასეთი ამბავი მოხდა: შეიარაღებული 20 კაცამდე ყაჩაღები დაესხნენ თელავში მომავალ ლეკებს. ერთი მათგანი მოკლეს, სხვები გაძარცვეს და ისე გაისტუმრეს. მეორე დღეს სულ სხვა პირები დაესხნენ ალაზნის გაღმიდან თელავში მომავალ მგზავრებს, ერთი მილიციონერი მოკლეს, სხვები გაძარცვეს, წაართვეს როგორიც ფული, საქონელი აგრეთვე ცხენებიც. გადაჰკიდეს თავის ნაძარცვი საქონელი ცხენებს და გასწიეს გზას. ადმინისტრაციამ ბევრი ეძება, მაგრამ ბოლოს მაინც არავინ აღმოაჩინა. ერობას მოთხოვნილი ჰქონდა ადმინისტრაციის გადაბარება, მთელი აპარატის ერობის განყოფილების გვერდით გადატანა და ერთნაირი ცვლილების შეტანა საქმეში. ჯერ ჯერობით ჩვენ ცვლილებებს ვერ ვხედავთ. საჭიროა ჩქარი და ენერგიული ზომების მიღება.

კალე.

განცხადებანი

(გ—გ)
[illegible]

თბილისის მაზრის ერობის
ხმოსანთა საყურადღებოდ
მესამე სესია მაზრის ხმოსანთა, მოწვეული ამა წ. 22 თიბათვეს, გადადებულია 29 თიბათვისათვის.
გამგეობა. (2—1)

მარის მუშათა კლუბი
ქვემო რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექ. არს. ქართ. სახ. წარ. წრე კვირას, 22 ივნისს წრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება
ყაჩაღი არსენა
პიესა 8 მოქმ. ალ. ყაზბეგისა. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზედ.

მ. იაშვილის სახელოსნოში ტფ. (ოლღას ქუჩა № 18)
იყიდება
ახალი და აგრეთვე მეორედ შესაკეთებელი ვენახის საოწყავ მანქანები, „ვერმორელი“-ს სისტემის იქვე იყიდება სხვადასხვა გვარი გოგირდის საბერველი და ასპარეზი მანქანები ([illegible]). (3—1)

დემოკრატიული კლუბი
(მუშტაიდში)
ხუთშაბათს, 26 ივნისს, 1919 წელს
მიხეილ კავსაძის მომღერალ-მგალობელთა გუნდი მართავს
სახალხო კონცერტს ლექციით
დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამ. 8 საათზე. ბილეთები იყიდება. (2—1)

დოქტორი **მ. მოლდვაძე**
ყოფილი ასისტენტი ბერლინის [illegible] კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამოარჩევს სათვალეებს. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. მ. ჯავახიშვილი**
გადმოვიდა ახალ ბინაზე და [illegible] შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის. მიხეილის პროსპექტი № 86 ტელეფონი 14—60.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**
[illegible] სნეულებათა—სპეციალისტი ([illegible]) [illegible] ნაკლებობით, გულისა, ფილტვებისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს [illegible] 4—8 საათამდე. [illegible] ქ. № 11 [illegible]

ექიმი **დ. ა. ხარაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ნ. დ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სასქესო და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დილისით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სომხეთის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13

ექიმი **მ. ზ. მგალობლიშვილი**
[illegible] ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ., ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] კლინიკისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible]. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119. ტელეფონი № 9—26.

ექიმი **დ. ი. იაბარძე**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—[illegible] კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, [illegible] და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. [illegible] ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმი **მ. ბ. ხუჯაძე**
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № ტელ. 4—15.

ექიმი [illegible]
[illegible] („606“ და „914“), [illegible] სნეულებანი. [illegible] დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 33.

ექიმი **მ. ი. ბერტაშვილი**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 24 ტელეფ. 1—85

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
[illegible] შინაგან, კუჭის, გულის და [illegible] სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—[illegible] საათ. მისამართი: [illegible] ქ. № [illegible], ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი **აპოლონ პავლეს** ძე [illegible]
ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

ექ. **ძ. თ. ტყეშელაშვილის**
საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეხხაპუნება) და სხვა ავადმყოფობანი საშარდე და სასქესო ორგანოთა. [illegible] ახლოს, [illegible] (№ 55) და [illegible] (№ 1) ქუჩების შესაყარი [illegible] ყოველ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

ქართული კლუბი
კვირა, 22 ივნისს.
მესხეთ-ჯავახეთის დღე

დილით
ბავშვების დიდი დღესასწაული!!!
5—7 საათამდის ბაღში სათამაშო [illegible] „ბავშვების მეგობარის“ ი. მ. ხუნდაძის [illegible]
ახალი [illegible]! [illegible]!

საღამოს
დიდი სახალხო სეირნობა!!!
მრავალი გასართობები!!!
ქართული დუქანი—ქეიფი დილამდის.

კონცერტი
ხორო: ქ-ნნი: [illegible], გარტმან, ბ-ნნი: ხარაჯიშვილი, ინაშვილი, პოლიაევი.
ბალეტი: [illegible]. [illegible]: [illegible], [illegible], გალ. ტაბიძე, თაგუნა.
[illegible] (2—2)

„ინჟ. ვ. ლ. კანდელაკი და ამხ.“ ტექნიკური კანტორა
ჰყიდის [illegible]: თოხებს, ნაჯახებს, ნამგლებს და ცელებს. [illegible] 2) [illegible] შრიფტით საწერ მანქანებს ქართულად „სტივენსის“ და „უნდერვუდის“ სისტემებისას ([illegible] 33 ასო, და ძველი ასოებით 41. [illegible], პუშკინის ქ. № 1 ტელ. 17—79
(2—1)

მოწაფეთა ჯგუფი რომელიც [illegible] 1 ლი კომერციული სასწავლებელი ([illegible]) იწვევს ყველა [illegible]
საზოგადო კრებაზე
[illegible] სასწავლებლის დარბაზში (18 [illegible] ქუჩა № 2) კვირას 22 ივნისს დილის 11 საათ. კრების მიზანია დაარსება „[illegible] კომერციული სასწავლებლის კურს დამთავრებულთა კავშირი“.